


8
15/3



ბ კ ა პ ი ს ნ ო მ ე რ ი



აკაკი დიმიტრი 1840 წ. 9 ივნისს,
 გარდაიცვალა 1915 წ. 26 იანვარს
 საჩხერეში. დაიკრძალა თბილისში
 მთაწმიდაზე 8 თებერვალს.



„ახალი აზრი“, „სახალხო ფურცელი“, „შადრევანი“, „თემი“, „კლდე“,
„თეატრი და ცხოვრება“, „განათლება“, „ნაკადული“ და „ჯეჯილია“
აუწყებენ საზოგადოებას, რომ განსვენებული მგოსანი

ბ კ ა კ ი

დაკრძალულ იქნება დღეს მთაწმიდაზე. წირვა და წესის აგება ქვა-
შეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათიდან.

ბ კ ა კ ი. სოცხალია—

თვითონ კითხულობს თავის ლექსებს

აკაკი ლექსების კითხვის დროს გადაღებულია გრამოფონის ფირფიტებზე,
მოიკითხეთ

„გრამოფონის“ საზოგადოების მაღაზიაში

ფირფიტებზე გადაღებულია:

- 1) მთაწმიდა (განთიადი);
- 2) გიყვარდეთ სამშობლო! (სიტყვა აკაკისა);
- 3) მომავლავის ფიქრები;
- 4) ბავშებისადმი;
- 5) მგოსანი.

ОБЩЕСТВО  ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

ОТДѢЛЕНІЕ
ДЛЯ КАВКАЗА, ЗАКАСПІЙСКАГО КРАЯ и ПЕРСИИ
ТИФЛИСЪ,
ГОЛОВИНСКІЙ ПР., 9.
ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОВОРА.



№ 6

წელიწადი
მისამართი

წლიურად 5 მ., ხანგრძლივად 3 მ., კალკენომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება, რაბათის სტამბაში. მისამართი: **Тифლის Ред.-Театри да Цховреба** № 1. **Имедашвили**

ხელ-მოწერული წერილები არ დაიბეჭდება. — ხელნაწერები საპროცესისამებრ შესაწირდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტრაში — დღით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 6

კვირის თებერვალი

1915 წ.

ხალხო, პატივი ეცი დიდებულ მამულიშვილის, ერის მესაიდუმლის აკაკის დაკრძალვასა და წესრიგი დიციავი!

გ თებერვალი

მშვიდობით
სულის მეფე!

„მთაწმიდა ჩხოქრებულა, დაგუჯრებს ცისკრის ვარსკვლავსა“ და მიგელის შენ, შენ, რომელმაც მთელი ცხოვრების გზა სამშობლოს საკეთილდღეო ზრუნვაში გალიე. თუმც „სიტკობზე წწარე ბევრი დალიე!“..

მაგრამ ვიხაროდენ, ჩვენის ნეტარი მერმისის მომღერალო: შენ უკვე ერის გულში ხარ დამარხული და იქიდან ვერღარა ამოგშლის...
1904

ის, რაც ათეულმა საუკუნეებმა ავირ შესძლო — ამერ-იმერეთის შეკავშირება, სამ სამეფოსი და შვიდ სამთავროს ერთ მთელად გადატყვევა, სრულიად საქართველოს გაერთიანება, — შენ შესძლე, შენ, ხალხის ფიქრთა მესაიდუმლე, მშობელი ერის სულის მეუფე და რაღა დაგანაღვლებს ასე ვალმოხდილს?!

ნეტავ შეგეძლოს ერთი თვალი მიმოაგლო და იხილო შენი გულის ძენი — ახალი საქართველოს შვილი — წოდებისა, სარწმუნოებისა, რწმენისა, მიმართულებისა და გვარტომობის განურჩევლად რა სიყვარულით შემოგბევეიან, რა მოწიწებით მიგაცოცხლებენ ადგილსა საუკუნო განსვენებისა, და... შენი გული ამაზე უკეთესს სხვას რაღას ინატრიდა!..

დიდებული იყავ სიციცხლის დროს, სხეულებრივ ჩვენს შორის ყოფნისა ეამს, და აწ უმეტესად განდიდდა: ის, რაც ვერ შესძლო სხვა და სხვა ჯგუფთა ათეულ წლების პაქრობამ, შენ შესძელ შენის განსვენებით, შენთა ბაგეთა დაღუმებით: მთელი საქართველო გარშემოიკრიბე... შემოკრბენ შენს გარშემო არა მზაკრულად, იძულებით, სითვალ-

სიროდ, არამედ შენდამი ღრმა სიყვარულით და პატივისცემით აღვსებულნი..

„საქართველო აღსდგა მკვდრეთით...“ და ამაზე მეტს სხვას ხომ აღარას ეძებდი?.. მშვიდობით. ჩვენა სულის მეფე, სილა-მისისა და მაღალ მისწრაფებათა მომღერალო, სიყვარულისა და ძმობა-ერთობის მქადაგებლო, კაცთა გრძობა-გონების ღვთაებამდე ამქადაგებლო!..

მშვიდობით, ჩვენა სულის მეფე!..

ს ს ს ს ს

(წარმოთ. ცხედართან 5 თებ. გორის საღვთზე)

სულმანთო, ილაქთანა
გთხნაან აკაღამასა,
შეკტემა ვითა ქა ძმასა,
როგორც რომ შევიდო მამასა!
მტრადი დედა ქართაისა
გიკაღობით სულთათანასა
და შეიკუბივით დაგითან
გეტყვისთ ზეგაურ ნანასა
რა მოქალაქეს იქონს
როგორც დაქრიალას ისრთათ.

სულმანთო, ქართაის ბედას
გერგო ტარება კისრითა
ბუგრულ იკუნესე მის ვარშით,
როგორც დაქრიალას ისრთათ.
მის სისხრულით ჭხარობდი,
იწოდი ცეცხლით მისათა,
და ბოლოს სსმარეშაქ
ჩხვეულ იმავე ფიქრითა!
და დმერთი საქართველოსი
ჩემებრ ხატარა კაცებსა
თქვენა უსსადგრო ფაქვლითა!
ძაღონეს უსსეკებსა!..

თ. რაზიკაშვილი



ქვირფანს აკაკის ხსოვნას

აკაკი გარდაიცვალა... „სხე, სახედ“
შეიცვალა, სხვა სახედ გარდიქა...

მართლაც რომ სახე, ე ი. გარეგანობა გამოეცვალა მხოლოდ და არ კი შიშველად. არსება მისი, სული და გული, უკვდავია და სამარადისო — საუკუნო არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვათათვისაც, უცხოთათვის: ყველას შეუძლიან ისწავლოს მისგან, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს სამშობლო, როგორის გულით უნდა ემსახუროს მას...

უკვდავს და დაუშრეტელს წყაროს წარმოადგენს მისი პოეზია. სუნელოვანს, შეემკულს, მრავალფეროვანს თავივლს თვალწარმტაც მარგალიტებისაგან შეკონილს, რომლის მზერა ადამიანისთვის არ მოეწყინება.

იგია სრული და უნაკლო ციური ჰანგი, რომლის მოსმენა ადამიანს უფრო მეტად უნდა, რაც ხშირად ისმენს.

აკაკი იყო სანთელი, რომელიც იწვოდა სამშობლოსთვის. აკაკი გვასწავლიდა მუდამ:

„წთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახანაბელია.“

შეერთებულს ქართველობას უნდა ემუშავებინა თავის განვითარებისთვის ხანგრძლივად და მუყაითად, მაშინ ელირსებოა ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მანამდის კი მოთმინება და მოთმინება...

„გაუმგნდი გნსადელს
აიტანე ტუქვაობა,
გშეენის ნესტან-დარეჟანის
მაგალითი მსებობა...“

როგორც ნესტანდარეჟანს, მრავალ განსაცდელსა და პატივთა გამოვლილს, აუსრულდა დიდხნის სურვილი და გულის წაღლილი, აგრეთვე მისი ძვირფასი სამშობლო ელირსება აღსრულებას თავის სანატრელ მისწრაფებათა.

მხოლოდ სამწუხარო და მეტად გულდამწყვეტია ის გარემოება, რომ თვით ვერ ელირსა იმ ნეტარს დღეს, იმ სანუყვარს წუთს.

იქნება ჩვენც ვერ შევესწროთ იმ დღეს, მაგრამ აკაკის დაპირებული აღდგომა დღეგება...

მწამს.

დ. ნახუცრიშვილი

გ ა დ ი ც ვ ა ლ ა

გადიცვალა, გადიცვალა, გადიცვალა მგოსანთ მეფე!
გადიცვალა, გადიცვალა, იაღონო, ვარდს შეჰყეფე!
გადიცვალა! ვარსკვლავებო, გაუმჟღავენთ მზეს და მთვარეს.
გადიცვალა! ჰქუეს ეს სიტყვა საქართველოს ყოველს მხარეს.
გადიცვალა და ამ სიტყვით შეზანზარდა თვითონ ზეცა
გადიცვალა და ეს სიტყვა ბრძენთა დავთარს გადაეცა.
გადიცვალა მგოსანთ მეფე და ეს ისე... და ეს ისე,
რომ სპეტაკს წვერს ვერ შევეხებ და.. მის ამბორს ვერ ვეღირსებ.

გადიცვალა, გადიცვალა, გადიცვალა მგოსანთ მეფე!
გადიცვალა მგოსანთ მეფე! - იაღონო ვარდს შეჰყეფე!

და იცვალოს მგოსანო, ბედიც შენის ერისა და აღსრულდეს მიზანი შენთა ლექსთა ჟღერისა, და იცვალოს მგოსანო, სახე საქართველოსი! — აღგიკმევენ დიდებას ფსიხესი და ეროსი.

ბაბილინა

აკაკი ახალგაზრდობაში

(მოგონებებიდან)

...ჩემს ყმაწვილობაში აკაკი ხშირად იარებოდა ჩვენსა. სადმე წასვლის რომ დავაპირებდით დროს გასატარებლად, უთუოდ ერთად უნდა წავსულიყავით. საცა აკაკის დაიგულებდნენ, ვისაც გავება ჰქონდა, მისი სანახავად მიესწრაფებოდნენ, რომ მისი საუბრით და ხუმრობით დამტკბარიყვენ. საზოგადოებაში ბაასის დროს აკაკის მახვილ სიტყვას მუდამ აღტაცებაში მოჰყვებოდა მსმენელნი. აკაკიმ სიყმაწვილიდანვე დამისახურა საზოგადო სიყვარული და მისი სახელი თითქმის ყველას გულში ჩაებტედა.

როდესაც ქუთაისში, ჩემს სამშობლოში, ვცხოვრობდი დეიდაჩემთან, აკაკი მუდმივი სტუმარი იყო ჩვენი. მახსოვს ერთ საღამოს შევიკრიბენით იურკევიჩის სახლში: აკაკი, მე, მამია გურიელი, გიორგი თუმანიშვილი (მოხუცი კაპიტანი), გიორგი აგიაშვილი, მისი ცოლი ნატალია (დადიანის ასული), კეკელა აგიაშვილის ქალი და სხ. მასპინძელი იყო კესარია იურკევიჩისა, დედა რუს-იმერელისა. მთელი საღამო ლექსების თქმით გავატარეთ: ზებირად გვიკითხავდნენ თვის თხზულებათ აკაკი, მამია გურიელი და თუმანიშვილი. ისე გავიდა ღამე, რომ განთიადმა დაგვანათა, აკაკი გაგვექცა — მეძინებო. განთიადზე შემოგვიტანეს ჩაი; ჩაის თან შემოჰყვებოდა ლექსი აკაკისა. შეგვექნა ერთი აღიაქოთი: არა მე წავიკითხავ. არა მეო! რა თქმა უნდა, მამიას მიენდო წავიკითხვა და მასთანაც იყო მოწერილი. აი ეს ლექსი:

„ძმ.ო, დასტკბი მათათა,
მამშინ შენზე მათათა;
შენ მანდ დაჩხი ნეტარია,
მე წამოვედ მათათა.
ანგულოსთა სადარი,
შენი ნარჩხი სად არა?
გულმა შიანთა, თურმე,
შენ სანდ მისი სადარი!“

კნ. ნანო ორბელიანისა



აკაკი შნ წლის წინად

აკაკი ნანგრევზე — აკაკი ხალხში

მე მინახავს უღრან ტყეში, ნგრეულ ტაძრის ხევსმოდებულ კედლებზე ტლულ აღმართული ხე...

დრო ეამი, ნიდაგი მისთვის არაფერია... თითქო ძველი ტაძრის მრავალსაუკუნია-

ნი ტინის ქვები აწოვებენ ძუძუსო, ისე მოეჩვენება შორით მაყურებელს, მაგრამ არა: ამ ხეს ფესვები ნანგრევ ქვათა შორის მიწაში აქვს წასული.. ხე-კი მალლა სდგას, გუმბათ მონგრეულ ტაძარზე...

ასე ჰსუნთქავს, ჰსიცოცხლობს, ნაყოფიერობს ხე იგი ძველ დანგრეულ ტაძარზე...

ნაყოფი მისი წვრილია, მარჯალიტის მძივის მავგარი, თხელკანა, მაგარ ნაქუტა, მაგრამ მეტად ტკბილი...

ამ ხისას ძველ დროში ჯვრებს აკეთებდენ, გულზე სატარებელ ჯვრებს...

დღესაც ვინმე მწირს, ღვთის კაცს თუ მოესურვება მაცხოვრის გვემისა და დიდებოს ნიშანი გამოჰსახოს, ამ ხისაგან გამოაჩუქურთმებს ჯვარსა ანუ წმიდანთა ხატებს. და ღრმათა სწამს, რომ იგია ღვთის მიერ რჩეული წმიდა ხე, მსასობელი, ძლევის მომნიჭებელი, მადლის მომფენი...



სახელი ამა ხისა—აკაი.

ასეა ჩვენის ქვეყნის ტურფა ბუნებაში.

და ასევე იყო ჩვენი მრავალტანჯული ცხოვრებაში...

მრავალსაუკუნეთა ქარიშხლიან ეპოქა- ვითარების გამო დაქსაქსული ჩვენი სამშობ- ლოს ნანგრევებზე დაიბადა ძე-ხორციელი, რომელსაც, თითქო, განგებ დაერქვა აკაი, რომ მსგავსად ნგრეულ ტაძარზე აღმოცენე- ბულ ხის აკაკისა, აღმოცენებულიყო დან- გრეულ სამშობლოში დაქსაქსულ სამშობ- ლოს გასაერთიანებლად...

და ეს შესძლო აკაიმ...

მწირსა და ხრიკო ზედაპირზე აღმოხეთქილ- მა ერის ძემ ფესვნი ღრმად გაიდგადა ძირს, ხალხში, მთელი ერის გულის ძაფები თვით შეიერთა, ხოლო თვისი მთელის ხალხის— ერის გულთან გადააბა და ამეტყველდა.

ამეტყველდა და ამეტყველა მთელი ერი.. შემოქმედმა გადმოხედა აკაკისა და მის მშობელ ერს და ბრძანა: იყავ ერთ სულ და ერთ ხორც!...

და იქმნა ასე: აკაი და მისი მშობელი ხალხი ერთ ხორც და ერთ სულ იქმნა..

ღრომან სასტიკმან ვერლა წარხოცოს მისი მცნება, მისგან მონიკებული სარწმუ- მოება, ხალხში ჩანერგოლი, ვითარცა ვერ შემუხრავს ნგრეულ ტაძარზე აღმათული აკაკის ხე..

დღეს ქურქელი მისი სულისა მივსვენე- ბა სამშობლოს უწმიდეს აკლამას, რომ მის- მან სულმან მადლი მოგვიწინოს..

მაში, ჩემო მრავალტანჯული სამშობლოვ, გამოპკვეთე ჯვარი მის სულის ნაწილებიდან— მის მოძღვრებისგან, რომ მისიან ძლევა- მოსილებამ—ყოველგვარი უტყუარება და- გაძლეწინოს, წყვლიდს დავხსნას და ახალი ცხოვრების განთიადი მალე გაღირსოს.

შენ კი, ჩემო უდიდებულესო მოძღვე- რო, შენ, რომელმაც მე არაბისიგან ერთ მოახროვნე არსებად გარდამქმენ, რომელმაც სიყრმიდანვე ჩამინერგე საკუთარი ეროვნული ვინაობის ცნობა, ხალხის თავგამოდებითი სამსახური და ჩვენი უტყუარის მომავლის რწმენა, განისვენე მშვიდათ, მშვიდათ!..

და გრწამდეს, შენსა ნათესს ვერავითა- რი ძალი ვერ შემუხრავს..

იოსებ იმედაშვილი

ბაპაი არ მოკვდება!

მთაწმიდა გულში იხტებეს საშვილისშვილო სამარეს, მამა დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს... ნურც მკვდარს ვამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კომო დამაფარეო, და რომ მოვეკვდები, განსოვდეს ანდერძი დავიბარეო: დედა-შვილობამ, ბერის არ გთხოვ— შენს მიწას მიმბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხლტო, ჩემო სამშობლო მხარეო!.. ბაპაი

ადსრულდა ნანატრი სულ-მნათ აკაკის: დრმად ჩაფიქრებული და დამწუხრებული მთა- წმინდა მოუთმენდა მკვდარს თავის მასხველ- ბელს, უბადლო მამულიშვილს, რომ მასს, უმაცადითა შრომით დადღილ-დაქანტულ სხე- ულს გადასჭრას თავისი ტრემლით სასესე, მად- ლანა კალთა და თანატოლ—თანშრომელ,— ჩვენ მეორე მესვეურ, აღასათან ერთად, მკვრად ჩაიკანს ტანჯულ-წამებულ გულში..

მამა-დავითის დამწუხრებულ სახეს ამას- თანვე რადაც სიამუხეტ კი დეკტო: თავის სიამდღიდან შედღერის გამაჭვრეტით თათ- ქის ამას გვამწინებს: შეხეთ, ამ უმადურს ეო- ფაშიც კი ჩემს უბე-კადათს რა სახელოვანი შვი- ლების აღზრდა შესდებიაო... თოდნაღის დედა, რომლის ძემუთიც აღზრდაც შოთა—ილია— აკაკისთანა ბუმბერაზი შეილება, — შეუძლიან სთქვას; რუკვდავია ჩემი სახელი და მარად სა- თაყვანო ჩემი სსენება!..“

—აკაი მოკვდაო! — გავისმა გლოვის ზართან ერთად, გმინვის ხმა მთელ ჩვენ მხა- რის ყოველ კუთხეში: თითქმის ამ ხმამ მას დაზეწდა უმისოდან მრავალი კინებადნი და იგი ახალი, დრმა ძაძი იმოსება. რა მოკვდავს აკაკის! განა კი მკვდრად ჩათვლება, ამ რვა საუ- კუნის წინედ გარდაცვლილი, შოთა?! აკაკის ნაშრომ-ნანამკვდარი, ფისიკურად დადღილ-და- ქანტული სხეულიც მოსვენებას ითხოვდა და გარ- დიცვდა ეკი. მისი სხეოლსანი და სპეტაკი სული კი უკვდავია და მარად იბრწყინავს ისრე, როგორც ბრწყინავს ხოლმე მხის სხეულები მობანავე, ვასბეგის თეთრი მწვერვალი!.. თქვენ ვერ შეხვდებით ჩვენ მხარეში ისრეთ მიკვრდ-

ნიღ კუთხესაც კი, სადაც არ იზნობდნენ დიდ აკაცის, ან—შეგნებულად, თუ შეუგნებელიც—არ დადიდებდნენ ამის ტკბილს ლექსებს,—უბრალო მიწის მუშიდან უმადლეს წრის წარმოადგენდამდე,—მიდგანდ ის დასწლოვებული იყო მთელ ჩვენ ხალხთან, რომლის გულის შესაიღუშლევ ის იყო.

ვინ აღგვიძრა მძლავრად აღორძინების ხალისი და შეგვაუფარა, ერთ დროს აბუხად ატებული, ჩვენი ენა და ვინაობა, თუ არ იმავ აკაცის მიკეთრმა ენამ და სუბუქმა, ფრთიანმა, მუსიკალურმა სიტუვამ! ვინ შეგვაურდა, შეგვაკავშირა და მთლიანი ერთფეხული სახე მისცა ჩვენს, წინად დაქსაქსულს, ვინაობას, თუ არ იმავ სულმნათმა აკაკიმ, რომელიც დაუინებოთ ჩაგვძისხლდა:

„...ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველა,
სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრები,—
ოდელია—დელია—დელია!“
ერთობა ჩვენთვის ტანტია,
მტრებისთვის—საზრიაბელია!
მტრებს: “ვაი დედა ვაძაბოთ
და ჩვენ ვსთქვათ: დელია—დელია!..

ეხლა არც დროა და არც ადგილი

სერეულეთან არის დაგასისაითათ დვითორი გრძნობით და მადლიანის ეხლით გაჯღებული ის დრმა, წაუშედი კვლი, რაიც აკაკიმ განჯლო ჩვენს თვითშეგნების ნიადაგზე და იმათვე უკვდავ ჭეო თვისი სახელი. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა ამ ხატარა წერაღიით მკითხველს ეურადღება ერთხელ კიდეც, შემდეგ გარემოებისათვის მიგვეძინა, თუმცა აკაკიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, აღგვირძადა მისი ძვირფასი კუბო, შეტყევეო გვირგვინებით, მგერამ ეს ჩვენ სრულებით არ გვანთავისუფლებს ჩვენს მისდაყო სწეობრავ მოვალეობისატან; აკა-

კიმ მხოლოდ გვიანდერძა: თუ აფსუსობა ჩემს ამატს, თუ ტყამათ ჩემი მოწოდება და მოწადინებული ხართ სამატეგროში თქვენი თანატრძნობა რაე გვარად გამოხატოთ ჩემს დაგრძაღვის დღეს,—ის გროშები, რომლის გაღებასაც აბრებდით უსარგებლო გვირგვინების სასეიღლად, მოახმარეთ აზრანადა იმ თქვენივე საკეთილდღეოდ, საქმეს, რაიც გერეთვე ჩემს დიდა-ხნის სურვილსაც შეადგენდა—ზეზარ-სიტვაობის ფონდის დაარსებას. ამიტომაც, ვფიქრობთ, უფელა ჩვენგანი, ვინც კი მართლა გულწრფელად თანატრძნობდა აწ გარდაცვალებულ, დიდი ადამიანის სულისკვეთებას,—თვისი წვლილი არ უნდა დამშროს ამ დიდი საქმის მოსატარებლად. მხოლოდ, ჩვენ ვფიქრობთ, უშუაბესი იქმნებოდა აკაცის სახელობაზე შეტრავილი ფული ორ ნაწილად გაუფილიყო: ერთი ნაწილი მოხმარებოდა, აკაცის სურვილისამებრ, ზეზარსიტუვაობის გამოცემას და მეორეთა—დაარსებულყო სელიტრატურო ფონდი აკაცისვე სახელით, ვინაიდან არც ერთს ეროვნების შევრადლი არ განინდოდა ისრეთ ნივთიერ უმწეობას, როგორათაც ქართულები. ჩვენ რომ სალიტრატურო ფონდი გვექმნებოდა ლარ გადაგვსდებოდა ის სირცხვილი, რომ აკაკი უკანასკნელ ჟამს სხვის ხელის შემეურე არ განდებოდა..

ამასთანავე უნდა ითქვას რომ ორ საქმის,საუკელ-პუროთაც“არის მოგვარები საგრძნობელ დიდ თანხას მოითხოვს და ამ თანხის რაოდენობა დამოკიდებულია იმ თანატრძნობა-მატივისებმის სიმეურვადლებზე, რომელსაც ჩვენ განიფიებნთ უკვდავ აკაცისადმი..

გ. ახალციხელი



მეზუხარე დედას

(აკაცის სხოვნას)

დედი! ცრემლებს ნუ გადმოღვრი, ნუ გადმოღვრი დედი ცრემლებს,
გულს ჩაიკო, თუმცა ასჯერ უფრო დავწვივს, აგაცრემლებს;
თორემ რაა—ბედმა გვიმტრო, თუ ცა ჩვენზე გადმოიქცა,
რომ ზურმუხტის შენი კალთა სისაფლოოდ გალიქცა...

ცვარ-ნამი

საკაპის ბრძნული სიტყვები

იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
 ვინც აღიარებს მარტო თავის ერს,
 და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
 ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.

დეე, სულყველამ იბენდიეროს
 თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
 რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
 და არა მონა, ყმა და ფარეში!..

არ შეშვენის სიტყვის შეშლა
 კაცის მაღალ-გმირობას!..

ჯერ უნდა ვნახოთ ჩვენ განსაცდელი,
 რომ მით, გვირგვინი გამოცდილების,
 ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი!..

ვინც რა უნდა სთქვას ნუ დასდევ,
 შენვე ხარ შენი მსაჯული!

თვის ტომის დამწუნებელსა
 კირი მიუვა კარხედა!

გადაგვარების მოსურნე
 ბუნებისაგან კრულია!
 მისი პირადი ღირსება
 ყოველგან დაჩაგრულია!

გვირგვინი ეროვნობისა
 კეთილი მომავალია!

წინააღმდეგ ბუნებისა
 არაფერი არ მოხდება!

ხეს ვერ დამყნი ისე ხეზე
 თუ არ არის მისი გვარის —
 შეიძლება განა სადმე
 გასწორება „მთა და ბარის“?

ერთი დედის ძუძუები
 არის ამერ-იმერეთი!..

ჩვენ ძმები ვართ, ტყუპის ცალი,
 საქართველო — დედა ერთი! .

ეს ცრუ სოფელი,
 მწარ-სამყოფელი,

ვერვის დანდობს, არვის გ:იტანს!..
 უდროვით აღხენს,
 უდროვით აწყენს
 კაცს აბურთავებს, საღ არ გაიტანს?!
 —

ხარბი რამ არი
 და უმაძღარი
 ვნებითა სრული, აღმშფოთი გული:
 რაც რომ ჩვენია, —
 მოსაწყენია,
 და რაც არა გაქვს: — მივიდის სული!

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
 მტრებისთვის — სახრჩობელა!

ძალ-მომრეობის კანონი
 დღეს ერთის არის, ხვალ სხვისა..
 ბედია მომნიჭებელი
 წყალობის, გინა რისხვისა!

ცოცხალ მონაზედ უმჯობესია
 თავისუფლების ძებნაში მკვდარი!
 იმისი საქმე შთამომავლობას
 ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი!

ორგვარი არის ქეშმარიტება:
 ნამდვილი და თანც მოჩვენებელი!
 მათი გარჩევა მეტად ძნელია,
 ხშირად სტყუვედება საბრალო გული!

ჭკუით სრულსა და გრძნობით აღესილ კაცს
 ვერ შეაშინებს უბედურება!..
 რამდენიც უფრო ხელი ეშლება,
 ის უფრო კერპად ემსახურება!

კრგად თუ ავად, შემთხვევამ იცის,
 მაგრამ მთლიად შესცვლის კაცს სიყვარული,
 რა ახალ აღთქმად ის გულში სწნდება,
 მყისვე ირღვევა აქ ძველი სჯული.

უსამართლო ძლიერებას
 საუკუნო არ აქვს ძალი,
 უძლეველი საბოლოოდ
 არის მხოლოდ სამართალი.

(ზოგიც შემდეგ)

აკაკის ხსოვნას

მწვიდათ განისვენა ჩვენი ერის სიამაყემ!..
 მწვიდათ განუტყევა სული!..

ალარ გვყავს ჩვენი ეროვნული თვით-
 შემეცნების უდიდესი მოძღვარი!..

ალარა გვყავს ჩვენი საყვარელი აკაკი!..
 უკმეხ დროთა ბრუნვამ ბევრი ვაი-ვაგ-
 ლახი, მწუხარება და ნაღველი არგუნა ქარ-
 თველ ერს!.. მაგრამ იგი გასალკდევებული
 ებრძოდა ყოველგვარ ისტორიულ გასაქირს
 და თვით მწუხარებაში, ცრემლსა და ნაღვე-
 ლში ჯვრით და ხმლით, იგი სქედავდა თა-
 ვის მომავალ ბედს!..

ყამი რზობა!.. და ქართველი ერიც
 ძალას იკრეფდა სხვა და სხვა დასარკოლებებ-
 თან შესაბრძოლებლად და თავის რჩეულ
 შვილთა მეოხებით დღემდე შეინარჩუნა
 თავისი ეროვნული სახე... და დღესაც ამ
 რჩეულ გმირთა ანდერძია— პირნათლად მო-
 ვინახოთ ჩვენ, მომავალმა თაობამ, საღრმთო
 ვალი ჩვენ სამშობლოსა და სახელოვან წი-
 ნაპართა წინაშე!..

აკაკი ერთი ამ რჩეულთაგანი იყო, რო-
 მელიც დაუქრობელ ლამპრად ერთი ივერი-
 ელთა თვით-შემეცნების ტაძარში!..

მან ღრმად ჩაიხედა საქართველოს გულ-
 ში... იცნო მისი ტკივილი, მწუხარება, ნაღ-
 ველი,— განიმსჭვალა მისდამი უსაზღვრო სი-
 ყვარულით და სამშობლოს მომავლის რწმე-
 ნით გატაცებულმა არ დაიშურა თავისა ძალ-
 ღონე მამულისა და ერის საკეთილდღეოთ!..

და.. დღეს ჩაჰქრა ქართული პოეზიის
 ლამპარი!.. ჩაჰქრა, მაგრამ დაე, აკაკის ანდერ-
 ძი, მისი უკვდავი აზრები ოქროს ასოებით
 აღიბეჭდოს ყოველი ქართველის გულზე!..
 დაე, დიდებული მოხუცის სსოვნამ, ცრემლ-
 თან და ნაღველთან ერთად აღადგინოს რწმე-
 ნა საქართველოს უკეთესი მომავლისა, რო-
 მელსაც ემსახურებოდა აკაკი...

მწვიდათ განისვენა ჩემი ერის სიამაყემ!..
 მწვიდათ განუტყევა სული!..

3 გორგაძე



აკაკი

დღეს გვეთხოვება მოხუცი
 თეთრი ქალაჩა წვერითა,
 დაქანცული წვეს კუბოში
 ხანგრძლივ ჩანგურის ეღვრითა.
 ცხარე ცრემლს აფრქვევს ნათელა
 თავის გამჩენელ მშობელსა,
 სახელე-დიდების მიმდღენელსა,
 ლაწვ-ბაგით შემამკობელსა.
 გპირი თფრნაჟე მოსულა,
 მამისა სანახავათა,
 ხედავს ქართველებს ალარ ჰყავთ
 ერის ძე ერის თავათა.
 კახმა გაიგო სიკვდილი
 ერთგულ მამულის შვილისა,
 დაჩაგრულ მო მის გულისთვის
 მიმღები მრავალ ქირისა.
 დაფიქრდა დანადღელიანდა
 კახი გულ-ლახვარ სობილი,
 ნაღველობს, რომ არ ჰყავს დედასა
 შვილი სანაცვლოდ შობილი,
 რომი მუძლოდეს ერს წინა
 ვით კაცი ცხერისა ფარასა,
 თავ-ზარსა სცემდეს დამჩაგრულს,
 ჩაგრულს მატებდეს ძალასა.
 შვე თალხებში ზის ბრმა გელა,
 შველმზე შგლოვიართა,
 არვინ ჰყავს ხელის დამქერი,
 ვერ გამოსულა გარეთა,
 რომე აუწყოს სოფლათა
 მოხუცის მცნება წესია,
 მისი პატრონი ის იყოს,
 ვისაც რა დ.უთესისა!
 ცოტეხ წავიდა საცნობლად
 ქართლ-კახეთ-ამერ-იმერსა,
 დღესა აქვს საგლოვ-სატირი,
 მადლით შემოსილ ივერსა,
 მოლიან: თამარ, ქეთევან,
 ნინო ვაზისა ჯვართა,
 წინ მოუძღვებთ რუსთაველი
 თავის უკვდავი ქნართა,
 შემოკრბნენ გმირთა ლაშქარნი,
 დაჰკრეს ბუკი და ნალარა,
 რომ მიაბარონ მიწასა
 სახელგანთქმული ქალარა ..

გ. შინატყეველი

აკაკის

ვისაც ხედავ აქ სულ-ყველა არის ჩემი გამოზრდილია სიჭკვი შენ, დიდო ჯაკო, გმი-რი თორნიკეს ზარით და აჭა...
დღეს შენსავეთ არავის არ შეეფერება ეს სიტყვა.

მთელი შენი სსმშობლო მხარე, რომე-ლიც დღეს შენს წინაშე მოწაწებით მუხლს იდრეკს, შენი გამოზრდილია.

ვისაც ერთხელ ადგა-ენა მანინ აუღა ხელში, ვისაც ერთხელ სიმეპო ჩვენ ვართ ყვე-ლაო მანინ უმღერა, ან თუნდ მოუსმენია... მიუხედავით მისი დღევანდელი მსოფლიო მხედ-ველობისა, აღზრდისა, განვითარებისა შენით აუღამს ბავშობაში ენა, შენით აღზრდილა, შენით სუფუარებისა მისი ქვეყნის მომავალი.

მცინ ხიჭათ მოვლენილი მგოსანი უთუ-ოდ შევძენე, რომ ყველა ამ შენგან გამოზრ-დილებს უგვი დიდი ხანია თავზე დასთამაშებს ერთი უცხო შარავანჯელი, რომელიც უხიდავად შენვე დაინთე და რომელიც აქ ხელა შენი გავრ-დებოდა სხანობაში კიდევ უფრო ძლიერდება.

იქ, ჭურ კიდევ ბუნდოვანთ, მავრამ მანინ სანეტროდ ისახება სიტყვები:

ახალი საქართველო.
და აი კვ გამსუხობს დღეს...

შველაზე უფრო მკურ-მეტყუელი სიტყვა თუ ვისმესაც თქმული დღეს მან მთელმა გამო-სიტყვა.

ერთად ერთ დაფინს გვირგვინსე —აკაკის —საქართველო!

ახალე უკეთეს შენ ვერაყენ ვერ გეტყვის და ხომ ეს იყო კიდევ შენი ნატურა...
მაშ გუთმარჯოს ამ მომავალს
ახალი საქართველოს!

აკაკის

კახალი გლახის მზარა კვნესა*)

ოჰ, უფრო, ვერ დავიჭერებ, არ მომკე-დარა ჩემი ჯაკო, .. არ მომკვდარა ჩემი დემონ-ტანი!! ..

ოჰ, დიდო მასწავლებლო, ახლა კი მთლათ უხედავით მოგვეშინა ისედაც დავადილი ბუნება და განცოფა-დარქან ჩემი არსებობა!... თურმე ამ დიდი და მწვავე ხანალა-მეწვერის მოწინავე ნახეთქებმა გავსტატეს ისედაც ჩე-ნი ერთგული სიამაყე—მოღვაწეები, ამ მოკლე-დროში. უკანასკნელ თქვენც გამისხეგრნათ და

ისედაც დავადილს ძამბოხილ ერს ჩემოვანე სეგდის კეშეტი—ამოგვექცა სამურო ზოგისას! ახლა?! ახლა ვისიდა ვეძიოთ აკაკი?!
ვინაა თქვენი ზარშია, ვინდა გაუძღვება თქვენს წილხედარს ერს და ვნდა უხაშს აკაკოს?!.

გულამოსკანილი მოწაწებით მუსხლოდრე-კილი გვამბორბო თქვენს ცხედარს და გეკით-ხებით:ვისა და რომელი თქვენ ზარშია ვეძიოთ თქვენი ბასრი კალამი, საუნჯე ჩვენი კრანა, არშაა დიტერატურისა და ბურჯი ერთგუებისა?!. ახლა როდის ტანგებდება და მოგვედინება შენებრი ჩვენი დემონ-ტანი-შესისა, დიდა ჯაკო, ჩვენი დიდი მასწავლებელი და სიამაყე ახლებე-ნი?!. ოჰ, სეგვარელო დაღო მასწავლებლო, დაფლათა გულა თქვენს სიკვდილმა და ამ ნა-ფლეთებდაც ამოეთქვას ცხედავ ცრემლებს ვაფრქვეთ თქვენს ცხედარს, და ვუერთებ ბაბო-ქრებულ ერთგულ ცრემლთა წარდგინა!!

დეე სვიროდეს, დეე ესეთის .. იქნება ამით, ზოგან თქვენი შესაძლავა?!... ვერ გავიძე-ტებთ, თქვენ ცოცხალი ხართ, თქვენ არ მოკვ-დებთ!!!. კვლავ მტხრავანი ხართ, კვლავ ცოცხა-ლი ხართ!!!.

აკაკიეტილი გლახი დ. სოლოლაშვილი

*) გემტადეთრა ახელი (ს. კატრეთელი) გლე-ხის (დ. სოლოლაშვილის) მწერ კვნესას, აქვე ვთავა-სებთ მისს კერო მონაწერს, რომელიც ახა ნაკლებ ახასიათებს მღვინის გარდაცვალებით გამოწვეულ მის წუხილს წერილი უცვლელად იბეჭდება, მართლწერა ავტორისა რიგა, ძმაო იოსებ! მოგესალმები თვალციმ-ლიანი... აღარა გვეყვს ჩვენი აკაკი!!!. ჩვენი სიამაყე, პოეზიის იალბუზი, ლიტერატურის არშია, ჩვენი სურა-თი!!.. ბევრს სიბნელეში შეიჭრა მისი სხივები, ბევრი დაკარგული და დაკარგული ინსტიკტი ამომორავა და გაღლიდა მისმა სხივებმა, და ახლა კი... ახლა... ამ შებნელ ხანას?.. როდესაც ჩვენი ერის სიკვდილ-სი-ცოცხლის ბედი და უბედობა ხელჩართულ ბრძოლაში არიან, გამოგვერიდნენ ამ მოკლე დროში ესოდენი მოღვაწეები და აგერა თან ვაკვით ჩვენი ღმერთ-კაცი და გვინის ამირანი, ჩვენი აკაკი!.. ამის შემდეგ ამა რაღა გითხრა, ძმაო, ჩემი კოჭლი ენით?!. გული დუღს, გამოთქმა და კალამი კი არ შემორჩილება; ვილა დაგვარა ჩვენი ენის მშობელი—ქურუმი—დიდი მასწავლებელი, რომ მივბაოთ?!! დაგვეღუნენ, ცხოვრების ლელვამ უიარალოთ მოგვისაო ყველანი, დაეჩიოთ ცხოვრების ბრძოლის ველის ნაშეგდ გარი-ყული ობლები, და ვინდა ჩვენი პატრონი?! როდის-ღა წამოგვეზრდებიან მათი პირში, როდესაც მო-გვაშორებენ გლოვის ძაძას და ააქლერებენ მათ სიმებს?! უნდა ანდრძი დავსტოვოთ, რომ საფლავში ჩამოგვა-ხონ. თორემ ჩვენ ხომ ვეღარას მოვესწრებით!.. რად.



აკაკი — საწოლზე გარდაცვალების
 მეორე დღეს

ა კ ა კ ი ს

(4 თებერვალს საჩხერეში მგონის კუბოსთან წარომთქალული)

ჩვენ ბევრი ვართ, შენს კალთაში, შენის ჩანჯით გამოზრდილნი,
 ვით ვუვადნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფა: შლილნი.
 ჩვენ შენს სსოვნას ნათელ მზიურს მოკრძალებით გავს ვეხვევით
 და შენს ღოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რსევით.

ჩვენ სიმები შენი ჩანჯის დაფირიკეთ თითო-თითოდ,
 გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი ჩვენც ვაქოთ, ჩვენც ვადილოთ,
 ჩვენ აკანაწათ ჩვენს სიმღერებს, ვუვადლებით დაგამშვენებთ,
 და გვირგვინად შემეუფ ჰანგებს შენს საფლავზე დაგასვენებთ.

და თუ ჩვენი სიმთა ტადლა ათამაშდა ვით ჩანქერი,
 თუ შეგქმენით ღოცვა წმინდა, ღოცვა შენი შესაფერი,
 შენ მიიდე ის დადადი, ანთებული ვით ჰატრუქი, —
 შენი შენვე დაგიბრუნდეს: მზეს უნრდილოს — მთვარის შუქი.

ს. აბაშელი



სიკვდილი

(იხ. „თ. და ც.“ № 5)

სამარეში სულიც თან ჩამყვად და გამოკვრდა. „ოი! ოიო!“ — შემოქაზა ვილაყამ — „ვინ ხარ რომ თავზე მწვები და ძვლებს მამტერეყო?“

— თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და ჯვრენი? — დავეკითხე მეც.

— შეე? დიდი ხნის მკვდარი!.. აქუარი მიწის წვილი ნუ გგონივარ! ჩემისთანებზეა ნათქვამი: „სადაჯრი სად მოკვდება, სად უთხრიან სამარეო?..“

— როგორც ვხედავ, მაგისთანა ანდაზა ერთი მეც მერგო ახლა: „ვერდებოდი ღოლოსო, დამხვდა სოფლისა ბოლოსო!..“ მე იქ, მაღლა მესარებოდი და შენ კი აქ, დაბლა დამიხვდი?

— ვინ მოგიწვია? მე აქ ჩემთვის, აგერ ოთხმოცი წელიწადია, მარტო-მარტო ვწევარ და არავის შევეუწუხებივარ.

— ჩემი ნებით არც მე ჩამოვსულვარ! რაღა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ და გავიტანოთ ერთმანეთი; მაგრამ ეს კი უნდა მითხრა: თუ მართლა ამდენი ხნის მკვდარი ხარ, აქამდს გზა ველარ გაიგენი საიქიოსკენ?

— ვიყავი, მაგრამ არ მიმდღეს... დამბარუნეს, შენ იქ სისხლში გასვრილი ხარ და არაყით გაგებანიაო!.. გაწმენდა გეტირვებო. საკანონო დამდევს და აქვე გამოგზავნეს, ერთი საუკუნე უნდა დავჩე და მერე უნდა კი გავუდგე გზას... ოცი წელიწადი კიდევ მიკლია, მაგრამ, ღვთის მადლით, დრო ძალე გარბის.

— ღმერთმა გისმინოს და გზა მშვიდობისა მოგცეს! მაინც რას აკეთებ ამ ქვეყნად?

— არაფერს, ღლე აქა ვწევარ და ღამე კი, ღლე და ღამის გაყრიდან მამლის ყოლამდე, მაღლა დავტანტალობ. როგორც მავნე და მოჩვენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვეყანას ვაშინებ.

— ვერაფერი ხელობა გქონი! თუ ციკი მე რამდენ ხანს უნდა დავჩე აქ?

— ორმოც დღეს, რომ ცოდევილ დედა-მიწას საუკუნოთ გამოეთხოვო, მტერსა და

მოყვარეს სათითოვოთ უნდა დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცე და ზოგს შენვე მოსთხოვო. მაშინ გაიწმინდები და აქუარი ქუქყი სიქილოს აღარ მიყვებო.

ამ საუბარში ჩვენ კიდევ შემოგვადამდა. ღლე-ღა-ღამე გაიყარა და ჩემი მესობელი ამოძვრა მაღლა. მეც თან ამოყვევი, მაგრამ ის თავისთვის წავიდა და მე ჩემთვის, ყველაზე უმაღლე მე ჩვენი სტამბისაკენ ვავექანე მუშები მოწყენით დამიხედენ: ჩემზე ჩამოვედოთ საუბარი.

— „მე, ახლა ხომ გეშველა? სულ იქას წუწუნებდი: ამის ხელს ვერ ვარჩევ და ბევრ დროს მაქარგინებსო! მორჩი და მოისვენე“, — უთხრა ერთმა მეორეს.

— „შეე კაცო, გულის წყრომის დროს რასაც კაცი იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა ის არ მომკვდარიყო და მე შრომა ერთი-ათათ მომმატებოდაო,“ უზასუხა მეორემ. „მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც შემხვედრია მისი სტატის აწყობა, გაქირვებია ამოკითხვა, მაგრამ მაგიერათ ბოლოს სიამოვნებაც მინახავსო“ — დაამატა მესამემ. ახლა კი ველარც მის სტატიას ავაწყობ და ველარც სხეებისასო“ — რატომამო? — კითხეს. „რატომ და სტამბიდან გამოამადესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვენებულზე, რომ მე აწყობა შეეზიზღა და უარი ვთქვიო. ჯერ ვითომ ქებით იყო დაწყებული, მაგრამ ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკეტებოდა. გამოამადეს... რა გაეწყობა! თუ ვიშოვნე სხვანა ადგილი, ხომ კარგა; თუ არა და შინ გავუდგები გზას გურიისაკენ, ღომი ბევრი მემოვება და ღობიო“, — თქვა, ამოიხვენეშა და გაჩუმდა. მე მასმა სიტყვებმა შემწუხეს. „ღმერთმა გიშველოსთ-მეთქი“ — გავივლე გუნებაში და გამოვედი გარეთ. პირდაპირ ერთი რედაქციისაკენ წავედი. რედაქციაში თავი მოეყარათ ყველა თანამშრომლებს. ერთი მათგანი რედაქტორის თანაშემწეს ეუბნებოდა: — მაშინ არ დაბეჭდეთ?



— არა!

— რა მიზეზია?

— ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისტანა სტატიების წერა ისევ თფილია, ჯერ კარგით არ გაცივებულია და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი; ამას არც მტერი მოვიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიცოცხლემოცი არ ყოფილხარ მაინცა და მაინც მისი წინააღმდეგი და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაქტორს წავაკითხო... მომწყინდა მთავარი გდება და შევიძვარი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მარტო-მარტო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანია ვიცნობდი და ჩემ ღღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს საზოგადოთაც, მართალია ერთი მიზანი გექონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს და მაშ რად მძულდა? რათ მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუშას რომ გადაატანო რამე ერთი სახლიდან მეორედში, განა იმას გზაში მტყერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერით გადადის და სხვა ხორციით. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი მაინც უსამართლო ენის აწყობს. ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატიქნა!“

ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი და გადასცა სტატია. რედაქტორმა ჩამოართვა, გადაიკითხა რამდენიმე პწკარი, წარბები შექმუნა, გადასცა უკანვე და წყრომით უთხრა: „ამის დაბეჭდვა არ შეიძლება, შენ არ გესმის რა დროს რა უნდა. ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციამი არ დაგაყენებდა“. კულ-ამოქუბული თანამშრომელი გამოვიდა გარეთ ბუტიუტით: „მოდი და გაუგე ახლა მაგათ თავი და ბოლო? ხან ასე და ხან ისეო. ჩემს ჰირს, თუ არ დაბეჭდვენ! სულ ერთია: მარჯვნივ ვიქნები, თუ მარცხნივ. მეორე სტატიაც ხომ მზათა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი, იმას მეორე რედაქციაში წავიღებ და სიხარულით დამიბეჭდვენ“. — თქვა და გასწია. დავედგენე მეც. რედაქციაში დრდიან-პატარაიანა ყველა დიდი შეწუხებული დავიხ-

და. ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი არ შემოვიღებოდა. რედაქტორს კრიკა აღარ ესწებოდა, თამაზად შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რედაქციაში და დიმილით გაუწვირა ხელი რედაქტორს. მაგრამ რედაქტორმა არ ჩამოართვა და უთხრა: „სხვა რა არა იყოს-რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ და მაგრე მედიურლათ რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იცი, რომ უხელოობაა!..“

— მე. . მე. . მე სტატია მოვიტანე მიცვალეზულზე“ — თქვა ცოტა შერცხვენილმა სტუმარმა.

— ქებაა თუ გინება? დაეკითხა რედაქტორი.

— რასაკვირველია, ქება.

— მაშ, არ შეიძლება დაბეჭდვა. წაიღეთ უკანვე. თქვენისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიცოცხლემოცი შეურაცხყოფათ მიაჩნდა და ახლა ხომ საფლავიდან ამოღება იქნება. შერცხვენილი მწერალი გამოვიდა გარეთ, რედაქსხმულივით დადგა ქუჩაზე და ამოიხენეშა: ჰეე! აღარც იქით და აღარც აქეთ! ახია ჩემზე, რას ვერჩოდი განსვენებულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავი, ბრუნდი და მართალი ყველა თავში მიფაქუნებდა, იმან პირველათ შემიწინა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამაყენა და მე კი ყველა-ღრნით გადაეუხადე! სულ ლუკმა პურის ბრალია. ღმერთმა დასწყველოს სიღარიბე. არც ერთხელ საკუთრათ ჩემთვის მათახი არ ვაღუქნევი, მაგრამ მისი შორს გატყორცნილი შოლტი, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირდაპირ ხედებოდა. აი, თუ გინდა ეს, რომელიც გულიდან აღარ ამომშორდა:

„რას წუწუკუნებს ის ზატრა მურას!
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურდა?“

ვისი ანის და ან სჯაღურა?
ქუმი, ქუმი, კუდაქინია მურას!..

რამ არ მოდის?.. თათქის უმაღურას!..
რა უფთია, ხედავთ, ბნაიუა მურას?!

კიდევ რა ეგოს!.. რაღაც უნაღურას,
თათი, თათი, საღასანას, მურას!

მისი უფა მხოლოდ მარტო შერა.
ვის აშინებს სსსსილო მურაჲ?!

მაგის ხერხი,—ერთი ლუკმა პურისა:
გადაუვლებ, განუმლებს მერაჲ.

ვინც გაძდებს, მისი შინაურისა,
იმას მინებს და კუდს უქრავს მურ ა...

ან კი რა ქნას? ბუნებით უძღუონა.
ქუდი, ქუდი! სხვადავო მურაჲ!

ლაქუნა კუდ-ქინისა მურაჲ,
თუ არ შიდა და ან არცა სწუროა...

„აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მაგ-
რამ ბევრს კი მისი სარკვე განია და მეც გულ-
ში ისრათ მესობა ჩანს. რომ აღზოა მეც მუ-
რია ძალი ვარ. ვიყრა .. ვიყრა, ოღონდ კი
თავი როგორმე გავიქანო. პატრონი ძალღს
ხან გაუჯავრდება, კარში გაადგებს—და ხან
ისევე დაუძახებს და მოეფერება, ძალღს რა
უქირს, სანამ ყფა კ' შეუძლია და კუდის
ქოცინი. ეჰ! წავალ ისევე ჩემ ძველ რედაქცია-
შიო.“

„შემეზილა, მაგრამ მაინც შენდობა მივე-
ცი და გავქანე „პურ-ღვინოსაკენ“, რადგან
ვანშობამაც მოატანა. იქ ნაცრობები ვანშობით
იჯდენ და მე მიგონებდენ. ჩემი ნათქვამი
გაიმეორეს, იცინოდენ. ხარხარობდენ და დროს
ატარებდენ. ერთმა მათგანმა აავსო კიპა ღვი-
ნით; წაუქცია თავი და სთქვა: „ღმერთმა სა-
უკუნო განსვენება მისცეს, სამასი მანეთი კი
გაცვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყო-
სო! შევხედე თვალბში ურცხვით მოტრა-
ბახეს, მაგრამ რაღას ვეტყვოდი. ღმერთმა
ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ
სამი მანეთი და აღარ დაუბრუნებია. სხვებმა,
ვითომ ჩემ ნათქვამათ, ანგვლოტები გაიმეო-
რეს, მაგრამ ყველა ჩემი არ იყო. რაც იყო
ისიც დამახინჯებული. და „ღმერთმა შეგინ-
დოს-მეთქი—გავიფლე გუნებაში გულნატენმა
და თავის დასამშვიდებლათ წავედი პირ-
დაპირ გულთოდ მეგობართან.“

„შევედი ოთახში თუ არა, ის ვნახე, რაც
სიცოცხლეში მეჯავრებოდა; ჩემს გულთოდ

მეგობარს სხვა ვინე უჯდა გვერდით და აწუ-
გებდა: „კარგია, კმარა, არ გშენის მოწყენა:
შენ ცოცხლებზე იფიქრე, და მკვლარი ღმერთს
სააბარე. წავიდა, მორჩა,—ხომ ვერ დააბრუ-
ნებო?“

— შენ კარგათ იცი, ჩემო სიცოცხლეო,
რომ მე ის შენსავით არ მეჯავრებია: ის მიყე-
რდა ისე როგორც მახლობელი ნათესავი, და
შენ კი... უთხრა აღერსით ქალმა და ჩაუ-
დვა ხელი ხელში. კაცმა ხელზე კაცმა დაუ-
წყო. მე გული დამწყდა, და სხვა რომ ვერა-
ფერი მოვახებრე ფანჯარზე დავაკაუნე, შეკრ-
თენ, წამოცვინდენ ზეზი, კაცი მიღვა ფანჯა-
რთან, და რომ ვერაფერი დანახა, სთქვა:
„ჩიტ უნდა ყოფილიყოსო“; გაბრუნდა და
ისევე აღერსი დაუწყო ქალს. მე კიდევ პირ-
ვანდღლზე უფრო ძალუბით მივხალე და მივე-
ხალე ფანჯარს, მაშინ კი მართლა დაფეთებუ-
ლი ქალი გულში ჩაეკრა კაცს და იმანც ვასამ-
ხნივეზლად ხელები მოხვია. ვსთქვი:თუ ისე ვაფრ-
თხე ეცენი, მე სანუგეშოს ვერას ვნახავ-მეთ-
ქი; მოვსხლტი გულშეწუხებული და ისევე საფ-
ლავეში ამოვყავი თავი.

ამ პირველმა დღემ ბევრი ვერა
მასიამონა? მეორე დამეს, მესამეს, მეოთხეს...
ორმოცი დღის განმავლობაში სულ დავიარე,
რაც ამ ქვეყნათ ნაცრობები მყავდა ღმერთო,
რა არ ვნახე? რა არ გავიგე? შტრებიც და
მოყვარებიც სულ სხვა თვალთ დავინახე.
ავიც და კარგიც მხოლოთ ახლა გავარჩიე-
ნით ამბავს, ერთხელაც იქნება, მოვახნი-
ნებთ... მაგრამ ახლა კი ყველას შენდობა მოვ-
თხოვე და გამოვეთხოვე ქვეყანას, მეორმო-
ცი დილას მომიკითხა სულთამხუთავმა, შემიგ-
ლო ფრთხვე და გამაქანა საიქიოსკენ.

ამიტეცა სულთამხუთავმა და გავფრინ-
დით!.. მთვარეს ავცილდით, ვარსკვლავებს
გვერდი ავუარეთ და მივაწყდით ერთ მწა-
თობს: „აჰ არის ქართველების საფანეთა!—
მიოხრა ჩემმა წინამძღვარმა და შემეყვანა წალ-
კოტში. ქვეყნიურ ოცნებას არ შეუძლია
წარმოიდგინოს მისი სიყვითე!.. თვალ-გადუწ-
ვდენელ ტალავარში ტახტზე იჯდენ ორ პი-



რათ მეფე-დედოფლები. ყველაზე პირველი ადგილი ეჭირა კაცებში, დავით აღმაშენებელს, ქალებში თამარ მეფეს. მათ მახლობლთ იყვენ: ვახტანგ გორგასლანი, ორი ზაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი. რიგ-რიგად იყვენ ჩამწკრივებული ღირსების და გვარაჲ; ზოგიერთები ისე შორს იყვენ, რომ ბუხის ოდნავდაც აღარ მოჩანდენ... ირაკლი ვერსად შეენიშნე და, რომ ვიკითხე ასე მითხრეს: „სარდლების გუნდში გადავლა ინებაო!“ — გიორგი მეთქი? — გიორგის მუცელი სტკივა და გორავს სულ ბოლოშიო.“

როცა მიმიყვანეს, თავყანი ვეცი მეფეთამეფეს. დღებულმა ჯერ ვინაობა გამომიკიხა და მერე მბძრძანა: „რასა იქმს და როგორ არი ჩემი ქორნახული ქვეყანაო?“ — შემიძლია, ბევრი რამ მოგახსენოთ მის ღიღებულ და საქებარ წარსულზე; აგრეთვე ბევრი რამ გიმხაზარბლოთ და გიწინასწარმეტყველოთ მის საიმედო, უტყველ მომავალზე, მაგრამ აწმყოზე ნურას მკითხავ, ჩემო ხელმწიფე! შევევლირე მე.

როგორ გეტყობა, რომ იმ ქვეყნიდანა ხარ... უსდგელო, წარსული ამბავი ჩვენ უკეთ არ ვიცით! მომავალსაც შენ ჩვენზე უკეთ როგორ დაინახავდი იმ ქვეყნიურ ხორციელი თვალთშენ მხოლოთ იმას გეკითხებთ: დღეს რასა იქმს ჩვენი ქვეყანა?

— ვი თქმასა და ვაი უთქმელობას!.. მოყვარეს რ-მ უნდა, ისე აღარ გახლავთ, მაგრამ არც-კი ისე, როგორც მტერს უნდა.

— მაინც?
— რღა მაინც!.. დეჰის წყალობითა და რუსეთის მეცადინეობით ნელ-ნელა იღვიძებს, მაგრამ ჯერ კიდევ მგრათ ვერ დამდგა ფეხს.
— რატონა?..

მოგხსენებათ, ახლათ გამოღვიძებულზე სანამ კარგათ გამოირკვევოდეს, კაცი ბაცბაცებს და უწორისწორით ადგამს ბიჯს. და როდესაც მოიმარჯვებს ძლიდონეს, მართლმორწმუნე ერის შემწეობით... გამობრუნდება გასწორდება.

— მაშ ჩემი ძველი ტარები, ჩემი ციხე-ქალაქებიც, მტრის ახრებულეი, ისევ ხელ ახლად გაახლდებიან?

— უტყველია, რადგანაც საძირკველი მთელი აქეთ!..

— ჩენც მაგის იმედი გვაქვს!.. ღმერთმა ხელი მოუშარათოს ყველას, ვ-საც-კი ჩვენი საქართველო! ათვის კეთილი სურდეს!.. სხვას კიდევ რას იტყვი?

— თევზის ანდხას.
— ჰო, შენით არ გინდა, რომ თქვა?
— კარგი იქნება, თუ თქვენვე მკითხავთ და მახასუბნებთ.

რომ მომისმინა დავით აღმაშენებელმა, ფაქრში ჩავარდა და, ცოტა ხნის სიჩუპის შემდეგ, მიუბრუნდა თამარს:
— დღღალო მეფე! შენ, მხოლოთ შენ, შეგშენის, გამოჰკითხო დაწერილებით ქვეყნის ამბავი ამ ახალ მოსულს.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მიაფინაო და მიუგო:

— დიდებულო მეფეთამეფე! მხოლოთ ერთათ ერთი მზის ელვარება ჰუნტავს ბნელს და აცნებს დღეს. მთვარე მხოლოთ ბნელში კაშკაშებს და წყნარად ისვრის სხივებს, იმ სხივებს, რომელიც მზისაკანფე წყალობათ მიუღია. ჩემი შუქი თქვენივე ანარეკლი ელვარება!

— არა, ჩემო ღირსეულო შეილის-შვილო! მე როგორც მამ.სახლისს, საუნჯე გარედან შემიკრებია და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნისა შესაფერ დიასახლისს, მიგიღია, შეგიჩინახეს, მოგივლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოთ და მე უშენოთ თ თო სრული არ ვიქნებოდით, ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე მარეელობა შეგფერის მეფეთა შორის, როგორც შენ და მაშ, შენი ქორნახული ქვეყნის ამბავი მეწვე გამოჰკითხე.

— უტყობეთია, ჩემო წყალობელო, ჩვენმა კარის კაცებმა ყველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამოჰკითხოეს და ჩვენ მოვარწინათ.

მოეწონა ეს რჩევა დავით აღმაშენებელს და გაგზავნეს შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველეი მათგანი გამოცხადდეო“.

დაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: „სარდლებში დიდი უთანხმოება გახლავთ, ბატონო! პირველობას ერთი-მეორეს უთმობდენ, მხარტყელები გამრტყელს, გამრტყელი კახაბერს, კახაბერი—ქიაბერს და ყველა ერთათ-კი—გიორგი სააკაძეს შეჰყურებენ; გიორგი სააკაძე შორს იქტრს თავისპირველობას.“

1051



— თავმდაბლობა გმირთა ბუნებაა! ბძანა აღმაშენებელმა და გაჩუმდა.

— რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულან, კანონის მდებლებს მ-ვანდოთ და იმათ გადაწყვეტიან ეგ საქმე, ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ აღბულა ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე; შევიდნენ სარჩელში, მაგრამ იმათშიაც უთანხმოება მოხდა. აღბულას და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგ არ დაეთანხმა.

— არა ამბავია?—ბძანა აღმაშენებელმა. —აქაც აღარ იშლიან ქართველები თავის იმ ქვეყნიურ ჩვეულებას?

— მეფეთ-მეფეო! მოასხენა ვახტანგმა, ესენი ას ხელმეზარატი გიორგი სააკაძეს. მართალია, ის ვასაოკარი გმირი იყო და „მისი საქმენი საარაკონი“, მაგრამ მის ღვაწლს ჩრდილი ფარავს.

— არა! შემცდარი აზრია!—თქვა გიორგი ბრწყინვალემ, —მართალია, დიდი მოუზრავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩაღმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველთვის და ყოველგან შინაც ქართველი იყო. სამშობლოს სიყვარულით უძგერდა გული და მხათ იყო სულიც შეიწირა; და თუ მისმა ღვაწლმა უნაყოფოთ ჩაიბრა, ამის მიზეზი უფრო სხეებში იყვნენ; მაშინ, როდესაც ის თავისი ვაჟ-კაცი შეიღებოდა და მკორე ვუნდით საარაკო საქმეებს ჩადოდა, მოხმარების ნაცვლად სხეები ხელს უშლიდნენ, თვით თეიმურაზ პირველი შტვირის გულით კარი-კარზე დაწანწანებდა და როცა ქართლ-კახეთს შავი ღლე აღვა, ის იმერეთი „შიფარავანისას“ ლათიობდა. არა თუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჰირი მისმა კარდა-კარ სიარულმა, თვით იმერეთიც გარყვნა, მისი დამოყვრებით. მისმა ასულმა დარეჯანმა აურ-დაურა მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოფარკვეთილებამდის მიიყვანა. ამისთანა დროს მეტი რაღა ექნა გიორგი სააკაძეს? ქვეყანა მას ტყულა აღდეს ბრ.ლს.

— თო, მაგრამ სპარსელები ხომ იმან მოიწვია? თათრებს ხომ ის ებატებოდა? გარეგნობით ხომ შეცვლილი იყო? იკითხა ვახტანგმა.

— მართალი არას, მაგრამ ეს სულ მოსატყუებელი მოჩვენება იყო. თვითონ შენ არ იყავი, რომ ფრანგობა გინდოდა მიგელო? გათათრებითაც გათათრდი, მაგრამ შენზე გქვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩაერთვალს ეგ შენი გადასხვაფერება—ამიტომ,

რომ შენ მეფე იყავი და ის-კი უბრალო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხდებოდა, რომ იმარ არ ჩარეულყო და არ ებძანებია: „მეც თანხმა ვარ გიორგისო! მოიყვანეთ სააკაძეო?“

წინ წამოდგა სიმდაბლით სააკაძე, საოცარი და საოცრეო თვალ-ტანადი მოურავი. შეხედელ თუ არა, მაშინვე გამეგლო გუებაში: „აი, ეს ყოფილა რუსთავის ტარელი-მეთქი. „მთელი მისი ღლეწანდელი ჩამომავლობა რომ ერთთ შეაწყვოთ, მის ფეხს ფრჩხილთაც არ გამოჩნდებოდა“. იქას უბძანეს, რომ გამოეკითხათ ჩემთვის ქვეყნის ამბავი. ისეთი თვალთ-თი შემომიხედა, თითქოს უნდოდა შემეტყო, ეს ქა-ღუა საიდან მოთრეულაო და ცალყად მკითხა: „რასა იქს ღლეწანდელი ქართველობა? ხომ ისევ ისე ძველებურათ არის?“

— აღარ, ბატონო! თავი უწვრილდება, გული უბატარავდება და მუცელი უდიდდება, ვუბასუხე.

— ვმ! ვაჟაკათ კიდე ვარგან?

— რატომ არა? თავისიანზე გულ-დიდი გახლავან, გარეშების კი შიში აქვსთ.

— იარაღს როგორ ხმარობენ?

— ძალიან კარგათ! როცა ლხინში არიან, ძალიან გამბედავად აძგერებენ ხოლმე ერთი-მეორეს. შინაურებაში თავს არ იზოგვენ. მაგრამ გარეშემ თუ შემოუძახა, მაშინ-კა ხელის კანკალი მოუღლით ხოლმე.

— მაშ, ღღეს სახელგანთქული გმირი აღარავინა გყავსთ?

— როგორ არა? დარჩია, მიქელაიშვილი, დათუნაიშვილი, კურუა და სხვანი,

— მაღლობა დმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

— დიდი და შესანიშნავი! თუ სადმე შეიგულმეგნ ქვრივობოლს, უიარაღოს, უძლურ ღღეჯაკეს, მაშინ ძალიან ვაჟაკობას იჩენენ! თავს დაეხმებიან ხოლმე და გაცარკვენ.

ეს რომ ვიქვი, ვიღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებლმა და მომაყვირა:

— კანონი და სამართალი?

— აბრუნდ-ჩაბრუნდივ ტრიალებს, მით უფრო, რომ ცრუ-მოწეობა კანონთან შემოვიდა; ცრუ ფიცა—აბაზათ ღირს.

— როგორ თუ ცრუ ფიცა? მომამახა ერთმა წვეგროსანმა, —სარწმუნოება?



— ისიც სხვა გზით მიდის. დღეს აღარც ლოცვა და აღარც მარხვა. აღრე რომ ზარები „მოდო-მოდოს“ იძახოდნენ, ახლა „წადი-წადის“ გაიძახიან.

— ეს სულ ცუდი აღზღის ბრალი ყოფილა! და რას შეგებოიან ქალები? ნუ თუ აღარ არიან ცოლები, დღეები და დღები? — იკითხა შეწუხებით თამარმა.

— გახლავიან, დედოფალიო; გახლავიან, მაგრამ სულ სხვანაირაა გაიძლიერია.

— განათლებული თაობა? — იკითხა პეტრიწიძე.

— განათლებული თაობა ჯერ ისევ ჩრდილშია... რასც სხვაგან გაიგონებენ, სულ იმას იმიორებენ, თავისთავით ვერაფერს ვერ ახერხებენ, არც ერთი მაგანი კატათ არ ჩაიგდება, მაგრამ ლომობას კი ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის და მეორე ბალთას. უბრალო თავმოყვარეობას და დავის პაწაწკუნა პირადობას ქვეყნისა და ქვეყნის საქმეს მსხვერპლათ წირვვენ გული კუჭი გონიათ და თავი — ფეხები,

აქ ისევ გამიტაცა ლაბარაკ სურვილმა, რომ, ვგონებ, ერთს წელიწადს ვეღარ გავითავებდი მათ შესამკობელ იამბიკოებს, რომ ვიღაც მოხსუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვიტებინა სიტყვა... ის იყო თურმე საბა-სულხან ორბელიანი. გულდაწყვიტილი მიუბრუნდა მეფეებს და მოახსენა.

— როგორ გეკატრებათ ამის ყურის გღება! არ იცით, ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიცრულეში ყოა-მყარაა მყავს აწერილი, ის გახლავთო და სულ უსიამოვნო რამეს ლაბარაკობს, თვარა დმერთმა წუ ქნ.ს, რომ სამე ასე ვაფუქტულიყოსო.

ეს რომ მოისმინეს, დავით აღმაშენებელმა უღვაწებში ჩაიკინა, თამარმა გაიღიმა და თქვა: სწორეთ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გააგდეთ იქითკენ, საცდახაც მოსულაო. თქვა და გავიწეხა ერთი იყო. გამოცვირდენ აქედან, იქიდან ბოქაულები, მტაკეს ხელი, ერთი მისთანა პანდური მჩანთეს, რომ სულ ბზიალბზილით წამოყვები მაღლიდან, გახნდა ბრეგვა მიწაზე და კდევაც გამამეღვიძ.

არ მომეგვარა, არა!..

მცენარეა შეიძინე, მწიანი შეუფოდენ, ჩანვის სიმების მგონის თითები შეეხო და უკანასკნელად ააუღერა.. ხაღხთა სამეარო შეირა და მის მწუხარებაში ერუდ გამაისმა:

„აქაც მთკვდა!..“

...მთკვდა, მხოლად სორცეაღდა..

სულეიარად არ მთკვდება ის, ვინც თავის „ც-ფიარუს სმელო-ზურმუსტ“ სამშაბლს დიდებისათვის, მშობლეურ ენის გახლხლსნებისა და სიმართლას ქადაგებისათვის სიცოცხლეშივე აკეთდა!..

არ მთკვდა, ანა!.. ის დღეიდან უფრო სიცოცხლას, მან სამარადისო სიყვარული ტეასწავდა..

ნუ სცდავთ, ნუ .. მისდაეთ მის მცნებას და გასწავდეთ:

„არ მომეგვარა ..“

„...ვინც შენატრის იმის სიყვადის,

„უმაღ მასვე დაამიწეს“..“

თბ. ქართ. გიმ. მოწ. ერთი ჯგუფის მონდობილობით

მინ. კიაზოშვილი

სამგლოვიარო წერილები

ცხადე ცრემლებით დაცხირით ჩვენი სასწავრელი მგონისა აკაკის გაცეაბულს ნეშოს. განისვენე მშუდობით ჩვენთა ზღმზრდელი მამაო საუკუნით დარჩება ჩვენს სულსა და ტულში, შენა ციური ნანანასებური მამა:

„მინას რათ უნდა კრული სიცოცხლე

ვისთავისა ანთოს წმინდა ღამზარ?

სჯამს მინობაში კადეაგაცებულს თავისთავების ძებნაში მკვდარი“

რ. ჯობლაძე, ს. ჯობლიძისა, გრიგოლ რუსიშვილი, მიხეილ რუსიშვილი, ეკატერინე ნინა, სოფიო, მარო და ნატალია რუსიშვილები.

ღრმად დამამწუხარა ქართული ხაღხის საამაისა და შოკზიის მრავალფეროვნათ მქარგავ დაუწევარ აკაკის გარდაცვალებაში... ვიზარებ ერის მგლოვიარობას და მწამს, რომ აკაკის დიდებული ჩანგი აუღერეს სამარადისო...

მეშა ვიქტორ კობახიძე





აკაკის გარდაცვალების გამო

« ამ ნომრისათვის დაწერილი სოფ. გვლობლიშვილის მოვანება აკაკის შესახებ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ იტვირდება. »

➤ **ბაძოს წ. შ. ს. დეპუტატობაში** არჩეულნი არიან თ. იოსებ დადიანი, ბ.ბ. ჯავახი, კვიტაშვილი, ს. ქანტურიშვილი.

➤ **ბაძოს ღამე. წრის** წარმომადგენლად დაქრძალაზე დასასწრებლად ჩამოვიდა რეჟისორი შალვა დადიანი.

➤ **ბაქაი დიდგულად** გამოსცენენ სხეიტორიდან. მთელი საჩხერე ძაძით იყო მისილი, რამდენიმე ადგილას შხერის თაღები აღემატებოდა. 20 ათასამდე გლეხკაცობა დაესწრო, იყენენ წარმომადგენელნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, წოდებთა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის მხრით. საჩხერეს გზაზე მგონის ცხედარს იასა და ვარდ-ყვავილად უფუნდენ. საჩხერედან ხალხი მუხლმოკებით გამოვითხოვა. საჩხერედან თბილისამდე ყველა სადგურზე აუარებელი ხალხი, სამღვდლოებმა, მოწაფენი და საზოგადოების წარმომადგენელი უხვადებოდ მუხლმოკებით. საჩხერეში და აგრედუ სხვა სადგურებზე აშამპირის სიტყვებს ამბობდენ საზოგადოებათა, გლეხთა, მუშათა, ქალთა და სხვათა წარმომადგენელი. განსაკუთრებით დიდებულად შეხედენ ქიათურას, შორაპანს—, ხაშურსა ვეომსა და გორში. თბილისში აუარებელი ნაღბი, ჰამქრები, საზოგადოებათა, პრესისა და სხვათა წარმომადგენელი შეხედენ.

➤ **ბაქაიი კურო საჩხერეში** «თეატრი და ცხოვრების» რედ. იოსებ იმედაშვილმა შეამოკო ცოცხალ მრავალვარ ვარდ-ყვავილების თიავლით, რომელსაც ჩარბობილი ჰქონდა ცოცხალივე ფოთლო-რტოს წყვერმოტეხილი კალამი,

➤ **ბაქაი დიპოქალაზა** მამადავითის გალავანში, ფუნიკუერის მხრივ, საიდანაც მგონის ძეგლი მთელ ქალაქს გადმოჰყვება.

➤ **ბართველმა სტუდენტებმა** გამოსცეს აკაკის რჩეული ლექსები, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით, საქართველოში შექმნილ დასარგებლად. წიგნი დიდებუდა ათი ათასი ცალი.

➤ **ღიბებამ მრავალი** სურათი აკაკის სხვა და სხვა დამოსა და ფასისა.

➤ **ბ. ახოსპირაღმა და ი. შივიქია** გამოსცეს სურათი «საქართველოს მნათობნი» შოთა, აკაკი და ილია. ასურათის ვინეტები დახატა ბ. ქიაურელმა.

➤ **ბაქოში სახეობილი ბაქაის** სულის მოსახსენებლად ალექსანდრეწეველის ტაძარში პანაშვიდი გადიხანდს. ხალხი აუარებელი დაესწრო.

➤ **დიდებული მგონის ბაქის** გარდაცვალების გამო გადაიღო 28 იანვრისთვის მაილოვის თეატრში დანიშნულ კომპ. კ. ფოცხევრავიშვილის კონცერტი, რომელიც ქართულ ტრადიციულ საღამოს გამოერუნდა გამართულიყო ამ მიზეზითვე აღარ შესდგა 30 და 31 იანვ. დაიწმული წარმოდგენები.

➤ **სინემაბოგრაფიით გადაიღეს ბაქის** ცხედრის საჩხერედან გამოსვენება, გზაზე საუკეთესო

ადგილები და შეხვედ-ანი. დღეს გადაღებული იქნება მთელი მსულლობა ქვაშვილის ტაძრიდან მამადავითის ტაძრამდე მგონის ცხედრის განსვენების დროს.

➤ **საზოგადოებრივად** ღამე, ღამის **ბაგაგობა** უდიდესი ქართველი მგონის აკაკის გარდაცვალების გამო დაადგინა: აკაკის დასაფლავებამდე ვანოთის საღამო, ანუ წარმოდგენა არ იქმნის აბართულ-დადგმული; გაიგზავნოს საზოგადოებრივად დეპუტეტი ყველა ქართ. გაზეთების რედაქციაში თბილისში; სათეატრო დარბაზში ჩამოკიდულ იქმნეს აკაკისა და ილიას დიდი სურათები და ამ მოკლე ხანში გაიპროტის აკაკის სალიტერატურო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა აკაკის სახელობის ფონდს. წარმომადგენლებთან დასაფლავებაზე დასასწრებლად წარმე აირჩია: ინჟინერი კონსტანტინე ძნელაძე და ნიკო სიხარულიძე.

➤ **საზოგადოებრივად** საზოგადოებრივად მდებარე სოფლებთან ერთად ხუთშაბათს 29 იანვ. გადიხანდა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვილის დაწყებამდე მ. პეტრე კახაჩაძე მეტად მონაწილენი სიტყვა წარმოთქვა. პანაშვილის შემდეგ—საზოგადოების ხელის მოწერა გაიპროტა აკაკის სახელობის ფონდის სასარგებლოდ, იასაზნადა მგონის ანდერძისა.

➤ **თბილისში მოწვირა რაზველი** უდიდებულების მგონის აკაკის გარდაცვალების გამო 31 იანვარს შეიკრიბა დამკვირ თათბირის შემდეგ: 1) აირჩია სამი წარმომადგენელი (ქასულ ხომასპირები, ვასილ კირვალიძე და კოწია ბაქრაძე), რომლებმაც მონაწილეთა უნდა მიიღონ მგონის მოსვენება-დაქრძალვაში; 2) დაადგინეს გადაიხანდა პანაშვიდი, 3) საზოგადოებრივად წერილები მოათავსონ ქართულ გაზეთებში და 4) შეაგროვონ ფული განსვენებულის ანდერძისამებრ, გვირგვინის ნაცვლად ზეპირსიტყვაობის ფონდის სასარგებლოდ.

➤ **ნაქალაქის უბანმა** აკაკის სულის მოსახსენებლად 3 თვე. პანაშვიდი გადიხანდა.

➤ **მისაბაი მამალოთი —ზოპირისაზოპის** **სასარგებლოდ** ვასილ ნ-ძე კირვალიძე შემდეგი განცხადება შეიტანა ქართ. საზოგ. კულტურულ დაწესებულებათა მიერ არჩეულ კომიტეტში: «7 იანვარს 1909 წ. გადევწყიტე, ყოველ წლიურად სამი მან. გადაიხანდა დიდებული მგონის აკაკის სახელობაზე დასახებულ ფონდის სასარგებლოდ და პირველი ხვედრი სამი მანეთი უყვე გადაიხანდა, ხოლო დანარჩენი წლებისა სხვა და სხვა მიზეზის გამო აქამდე არ გადაიხანდა, რისთვისაც ბოდინს ვიხდი როგორც დიდებული მგონის, ისე ქართველი საზოგადოების წინაშე. ამ ეამად ჩემი სურვილია, დანარჩენი ხუთი წლის ხვედრი 15 მან. გადაიხანდა განსვენებულისამებრ ზეპირსიტყვაობას ფონდის სასარგებლოდ, ამასთანავე ვარგენ ამ 15 მან და აგრედუ ვალდებულთა ესთელი ჩემ თავს, სანამ სიცოცხლე და გარემოება ხელს შემიწყობს ამავე მიზნისათვის ყოველ წლიურად ვიხდა წელიწადში სამი მანეთი.»

აკაკის ლექსები

ა მ ი რ ა ნ ი

აღმართ-აღმართ...

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზე შევდექე, ჭმუჭუნის ალი მინელა;
მხეიან სხივი მომათინა მამინა, —
სიტყვებზე ვერძენ, სიკვდილმა ვერ მამინა!

შემიღუღა მაშინ სული და გული,
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ და გული. —
ტუღმა ძვერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანკატ თვისი მე სამეობი დამიწყო.

სმა სიპართლის შეუხარვად გახსმა,
რომ დღეის-დღის სმა ასმინოს გახსმა.
ცის მახლობლად, ფეხქვეშ ვიგვძენ მიწა მე,
ვსთქვი: ცხოვრებზე, შეც ერთ კაცად მიწაზე!

და ვიფიქრე ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჭბურავს, თუ დღე უღვას სადარი?..

ტადვიხედე, ვინაზე: რომ სხვას ჭმონებდა?
ტამიკვირდა!.. ვსთქვი: მტერი როგორ მონებდა?

მისობლულა, შემდგარია, ის არი,
აღერსით მოვრალს ვერ უხილავს ისარი!

მივაძახე: აწინჰარში ნუ ვარდები!
ნუ ტკონია აქ და და ვარდები!..
შეიბრალე თავი შენი, იტოლე,
მაგ შინათში საწამლავს სევამს იტოლე. *

არ მისმინა მწუხარებით დანაკულს!
მით დამასო საუგუროდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ მადლობზე თავს ვერ ვერძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო, ვეღარ გკურნებენ წამლით;
დაღმართ-დაღმართ დაუფევი, წამი ალით!
იქ ჩამბნდი, სად გეღიან ლოდებით!
ბარით, ნიბით, კუბითი და ლოდებით!

დაიფიქრე, ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელ-დაკრეფით განისვენე მარადის!..

აგუგასიის ქედზედ აუო
ამირანი მივაჭული,
ვეფ-უორანი გუგოდა,
დაფლეთილი ჭქინდა გული.

ჩვეუნდა ცნობის სიტინისთვის
ტულს ცნობი არ ნელდებოდა,
და რადუნა მანქანებით
გული ისევე მოვლდებოდა.

ჭქინდა ჭირში მოთხინება,
არც ჭქინესოდა, არც თხვინდა;
უსმართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.
ბოლოს მაინც გამარჯვება
დაჩნდა.. უგულა კაცოც!..
და ის დეგწლი მავალითად
მიწის შეიღოა მან გადმოსცა!..

აკაკისი მადლ-ქედზედ
მივაჭული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ვეფ-უორანი.
მოგა დრო და თავს ააშეებს,
ამ ჯაჭვის განსუფუტს გმირთა გმირი!
სიხარულად შეგნელება
ამდენი სინს გასჭირია!

ნახევარი ცხოვრობს მზა მავლით

ნახევარი ცხოვრების ტა გუგოე;
სიტყობზედა მწარე მტეი დაგუგოე.
არ მშორდე და მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიციანი, არ უსტირი.
რას მიქეანი ბირადა მწუხარება?
— მოკვდეს კაცი თუ ბირუტყვის ქედრება!
ვიღას ხსოვს თავისი სატოვარი,
თუ სატრფოდ ჭეპის ამ დროს მის ცნობსად-მკვდარი?
მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურნა, დღეს მკვდარივით მიინარი!
ფეხ-მიშეული, თავზედ დეჩნაქ-ახილი,
უტრინობლად ჭხდას საწულს სიღათას ძალი!
თავს ვადგავარ მისი ჭირისუფალი;
თუმცა გულს მწევს მწუხარების მე ალი.
მაგრამ მაინც ვიციანი სამ-ნაირად,
და მკვრეტელთაც ეს აქვთ გასაკვირად.
„ჭირ-სუფლად მხოლოდ ცრემლი შეგინოს!
ეს იცინის!.. როგორ არა რცხვენისო!“
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!..
რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზედ მწარია!..

20-

„ცოცხალი“—ში

სოსიკო მერკვილაძის
წიგნის მაღაზიაში

ი ს ე ი დ ე ბ ა

აკაკის

შემდეგი

ნაწერები

	მ.	კ.		მ.	კ.
I ტომი	1	„	დათუნა გოცირიძე	„	15
II ტომი	1	„	თამარ შუფე	„	5
ბაში ანუკი	„	30	იკოეფ რუსულაძე	„	5
ნათელა	„	20	გაბრეელი ჭკუა	„	5
კიკოლას ნამბობი	„	20	მამლის ვივილზე	„	10
ბავრატ დიდი	„	10	ნანდრ ქეკელი	„	10
ორი ქართველი	„	10	ოცნება	„	10
აღუქსი	„	10	სემი ნაწერები	„	75
გამზრდელო	„	10	ორი ზუბოლინსტურა სტატია	„	10
სწეული ღუქსები	„	10	თორნიკე კრისთავი	„	35
სიმღერა აკაკისა	„	15			

აკაკის სურათები

დიდი სურათი	50 კაპ.
მორჩილი	25
ღია ბანათი	5

ნადათ შეიდექეს ფასდაკლებით დაუთმობა. მისამართი: თბილისი წიგნის მაღაზია „ცოცხალი“ სოსიკო მერკვილაძე

აკაკის საუკეთესო სურათი

წარწერით „აკაკი წერეთელი 1840—1915“ გამოცემული სტამბა „ეპოხის“ ზიერ და თითო იყიდება 10 კ.

